№ 37
ხუთშაბათი 14 თებერვალი 1902 წ.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

1877-1902

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 37
ხუთშაბათი 14 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ. მეოთხეზედ—5 კაპ.

ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ „ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ“ № 838

წიგნსაცავი
72
ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ აუწყებს ქართველს საზოგადოებას, რომ კვირას, 16 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ᲠᲐᲤᲘᲔᲚ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

სულის მოსახსენებლად. (4—1)

1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“
ღირს **ᲪᲮᲠᲐ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ** (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Иверіа“**. ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი.
ხუთშაბათს, 14 თებერვალს, 1902 წ.
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ
წარმოდგენილი იქნება
Კ. Დ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ
I
ᲛᲔᲤᲔ ᲚᲘᲠᲘ
ტრაგედია 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგ. ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, ბ-ნნი: ყიფიანი, ვუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე, ივანიძე, იორდანოვი, მოურავიშვილი.

დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება **„დემონი“**, ოპერა რუბინშტეინისა, **„მაღა ადმართს ხნავს“**, **„ზოგი ჭირი მარგებელია“**.

ᲔᲥᲘᲛᲘ
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ
სწამლობს შინაგანს და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲔᲥᲘᲛᲘ
სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

ᲔᲥᲘᲛᲘ
ალექსანდრე გიორგის ძე
ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.
ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:
Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. საოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
Ჟ. Მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ. დილის 11—12 საათ. ყელთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
Ს. Ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.
Კ. Ი. ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
Ა. Პ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1$^{1}/_{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ:
Ნ. Ნ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲑᲙᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგიო და კანისა.
Ა. Ნ. ᲨᲞᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.
Გ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7$^{1}/_{2}$ ს.
Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7$^{1}/_{2}$—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოთ).
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
ᲓᲘᲚᲘᲗ:
Ვ. Ი. ᲟᲘᲟᲘᲜᲐᲫᲔ—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
Ე. Გ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.
Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
Ნ. Ა. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
Ი. Პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
Კ. Მ. ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.
Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.
Ა. Გ. ᲑᲐᲠᲡᲣᲙᲝᲕᲘ. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
ᲮᲢ. Ა. ᲕᲝᲘᲜᲝ. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
Გ. Მ. ᲐᲛᲑᲐᲠᲓᲐᲜᲝᲕᲘ. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:
Ი. Ნ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
Ა. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.
Გ. Ს. ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.
ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:
Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲜᲘ.

წერილი მეორე.

მე დავპირდი მკითხველს ციფრებით დავასაბუთო ის მოსაზრებანი, რომელიც პირველ წერილში მოვიყვანე [1]. ჯერ-ჯერობით მეც ვიხელმძღვანელებ იმ მასალით, რომელიც მოთავსებულია ბ-ნ არჩილ ჯორჯაძისაგან დასახელებულ წიგნში [2] („ცნ. ფ.“ № 1693). შემდეგს წერილებში მოვიყვან სხვა ცნობებსაც და ახლა-კი, დროებით, მეც მივენდობი ამ წიგნის ცნობებს და ვნახოთ, რამდენად ნამდვილია ბ-ნ ა. ჯ—ს მოყვანილი და ვითომ დასაბუთებული ციფრები და|რა ფასისაა ის მოსაზრებანი, რომელიც მის წერილებშია განმარტებული.

ტფილისის გუბერნიაში მიწის რაოდენობაა —3.927,910 დესეტინა. ეს მიწა განაწილებულია ამ რიგად:

ა) გლეხ-კაცობას უჭირავს:
სახაზინო გლეხ-კაცობას—863,894 დ.
დროებით ვალდებულთ— 56,113 დ.
ხიზნებს — — — — — 30,791 დ.
მებატონეთა მამულზედ მცხოვრებთ: 113,876 დ.

ე. ი. გლეხ-კაცობის ხელშია სულ 1.064,674 დ. დანარჩენი მიწა—2.863,236 დესეტინა ხაზინისა და კერძო მესაკუთრეთა მხოლოობითს სარგებლობაშია. ეს მიწა დანაწილებულია ამ გვარად: ბ) კერძო მესაკუთრეთ ეკუთვნის—1.260,406 დეს., გ) ხაზინას—1.602,830 დეს. ამ ციფრებიდან ცხადადა სჩანს, რომ ჩვენს გლეხ-კაცობას (თუ ხიზნებს და საბატონო მამულზე მცხოვრებელთ ჯერ არ ვიქონიებთ სახეში) უჭირავს—920,007 დესეტინა მიწა. როცა ამ ციფრის განაწილებას მოინდომებთ და სხვა ცნობებს ამოჰკრებთ, იმავე წიგნში მოყვანილს, მაშინ ყველა დარწმუნდება, რომ ეს ცნობანი, ცოტა არ იყოს, არ ეთანხმება ერთმანეთს და ამით უნებლიედ ეჭვი იბადება და ყველა იკითხავს, ნამდვილი-კია ეგ ცნობანი? მაგალითად: აქ არის მოყვანილი, რომ 1888 წ. დროებით ვალდებულს გლეხ-კაცობას გამოუსყიდნია 10,503 დესეტინა და ამავე დროს გამოუსყიდველი დაჰრჩენია 45,256 დეს., მაშასადამე, დროებით ვალდებულ გლეხ-კაცობას იმ დროს (1888 წ.) სჭერია—55,759 დეს. და არა 56,113, როგორც ზემოდ მოყვანილი ციფრი გვარწმუნებს. ბ-ნმა ა. ჯორჯაძემ („ცნ. ფ.“ № 1693) ამ შეცდომას უფრო შეუწყნარებელი შეცდომა დაურთო ზედ და გვარწმუნებს, რომ „დროებით ვალდებულ გლეხებს ამერეთში გამოუსყიდნიათ 25,254 დესეტინაო“ და არა 10,503 დეს., როგორც ნამდვილად არის. ეს შეცდომა საპატიებელი არ არის, და მამაკვდინებელ ცოდვათ უნდა მიიჩნიოს იმან, ვინც ისე მხნედ სცდილობს დაამტკიცოს მხოლოდ ჩვენის გლეხ-კაცობის ბეჩავობა. მაგრამ ეს არაფერი. ამ შეცდომას ბ-ნი ჯ—ძე მოინანიებს სხვა, უფრო დიდის შეცდომით, რასაც მკითხველი ამ წერილშივე ჰნახავს თავის თვალითა.

მერე რად მოიქმედა ბ-ნმა ჯორჯაძემ ასეთი შეცოდება თვისის მცნების წინაშე? ნუ-თუ კითხვა არ იცის ჩვენმა ახალ მცნების მეცნიერმა? როგორ არა, მაგრამ, რა ექნა ბ-ნს ჯორჯაძეს, რომ ამ ვერაგს 10,503-ს გვერდით ახლდა სულ სხვა მნიშვნელობის ციფრი 25,254 (стр. 12)? თვალმა უმტყუნა ჩვენს პუბლიცისტს და ერთის ციფრის მაგიერ მეორე ამოსწერა. ასეთია აჩქარებისა და გატაცების შედეგი!

სახაზინო გლეხ-კაცობას, რომელიც რიცხვით 309,086 [3] სულია ნაჩვენები, ამავე ცნობებითვე, ეჭირა 863,894 დეს. მიწა და ამ რიცხვში საკუთარია მხოლოდ 9,758,$_{45}$ დეს., დანარჩენი-კი სახაზინოა.

ბ-ნი ა. ჯორჯაძე („ცნ. ფ.“ № 1693), რომელიც თავისს წერილში „ციფრებით და ფაქტებით“ ასაბუთებს ჩვენებურ გლეხ-კაცთა და თავად-აზნაურთა შორის ეკონომიურ განხეთქილებას, ბრძანებს მხოლოდ შემდეგს:

„სახაზინო გლეხთა რაოდენობა ამერეთში 309,086. მათ აქვთ საკუთარი მიწა მხოლოდ 9,757,$_{45}$ დესეტინა. სახაზინო მიწა უთანასწოროდ არის განაწილებული მკვიდრთა შორის. 20 სოფელში, მაგალითად, თითო კომლს აქვს 0—1-დე მიწა, 26-ში 1—2-მდე 44-ში 2—3-მდე და სხვა“.

დანარჩენი სოფლები ჩვენმა სტატისტიკოსმა მიმალა და მიაფუჩეჩა. ან რა საჭიროა ის სოფლები ბ-ნ ა. ჯორჯაძისათვის? იქ მოყვანილი ციფრები არ ასაბუთებს იმის დედააზრს და ამიტომ რად უნდა შეატყობინოს „ცნობის ფურცლის“ მკითხველს? აბა, ახლა ჩვენ ავიხსნათ, როგორ არის განაწილებული მიწა სოფლებს შორის. ცოტა სხვა რიგზედ-კი უნდა დავაწყოთ ეს ჩვენი ნუსხა, რომ უფრო ცხადი შეიქნას, რად გაექცა ბ-ნი ა. ჯ—ძე იქ მოყვანილ ციფრებს. 5 სოფელია, სადაც მიწა 200—449 დესეტინამდე უჭირავს თითო კომლს, 52 სოფელია—100—200-მდე, 39 სოფ.—60—100-მდე, 59 სოფ.—40—60-მდე, 79 სოფ.—30—40-მდე, 46 სოფ.—25—30-მდე, 65 სოფ.—20—25-მდე, 24 სოფ. 18—20-მდე, 31 სოფ.—16—18-მდე და სხვა.

არა, ნუ-თუ შესაძლოა ამისთანა ციფრების მიმალვა, როდესაც რისამე დასაბუთება ჰსურს კაცს? ეს ციფრები ხომ ყველა ქართველ მამულის შვილს სიამოვნების მეტს არას მოჰგვრიდა და რათა, ბატონო, რათ ინებეთ მათი მიჩქმალვა? თუ-კი გულსაკლავი ციფრები მოგყავთ და მით ყველას სასოწარკვეთილებაში აგდებთ, რატომ სანუგეშოს აღარ გვიზიარებთ?!

შემდეგ ბ-ნი ა. ჯ-ძე განაგრძობს და მოჰყავს თავისი მოსაზრება, რომელიც საკუთრად იმისია და არსაიდან ამოკითხული არ გახლავთ. იგი ბრძანებს:

„სახაზინო გლეხები, როგორც წინადაც გვქონდა ამაზედ ლაპარაკი, მიწის მოსარგებლენი (?) არიან და არა მესაკუთრენი. მათი სვე-ბედი სახელმწიფო მოსაზრებათა ცვალებადობაზეა დამყარებული. ასე რომ (კარგია ეს „ასე რომ!“) მათ ბედს აგრე რიგათ არ უნდა შევნატროდეთ“.

რატომ ამის შესახებაც ბ-ნმა ა. ჯორჯაძემ ჩვენის ხალხის აზრი არ შეგვატყობინა? თუ-კი უფრო რთულ საგანზე, „ეკონომიურ წინააღმდეგობაზე“ ხალხის მაგიერ გვესაუბრება, რატომ ამ სადა საგანზე აღარა გვაცნობა-რა? ნუ-თუ მართლა თავისს ბედს აგრე რიგად უჩივის სახაზინო გლეხ-კაცობა? სახელმწიფო გლეხ-კაცობა თავის სახელწოდებით ამაყობს, თავი მოსწონს ხელმწიფის კაცობით და თამამად და რიხით გაიძახის,—მე სულ სხვა ვარ, მე „სახელმწიფო კაცი“ვარო. უმრავლესობა გლეხ-კაცობისა ამ აზრისაა.

ახლა ვიკითხოთ: ნუ-თუ სოფლელი, რომელსაც 60—449-მდე დეს. მიწა უჭირავს, მართლა ნამდვილ მებატონეს არ ედრება?! მერე რით აბათილებს ამისთანა გლეხ-კაცობის მდგომარეობას ბ-ნი ა. ჯორჯაძე? მათი სვე-ბედი „სახელმწიფო მოსაზრებათა ცვალებადობაზეა“ დამყარებულიო!.. კარგი და მერე ვისი ბედი არ არის ჩვენში დამყარებული ამ „მოსაზრებათა ცვალებადობაზე“? ან სახელმწიფო კაცმა ვის რა დაუშავა, რომ მარტო ის ეგულება შიშ-ქვეშ? თუ აქამდე ამ გლეხ-კაცობის სვე-ბედი გამოურკვეველი იყო იურიდიულის მხრივ, ეხლა ხომ ეს აღარ ითქმის: ჩვენის გლეხ-კაცობისათვის შესანიშნავმა და დიადმა კანონმა 1900 წლის 1 მაისისამ მისი ბედი სამუდამოდ გაარკვია და მთელი ზემოთ მოყვანილი მიწა მათ საკუთვნოდ სცნო.

მაშ რიღას და ვიღას „მოსაზრებათა ცვალებადობაზეა“ დამყარებული ამ (941 სოფლის) 309,086 გლეხ-კაცის სვე-ბედი? მაგრამ ამათ მდგომარეობაზედ შემდეგს წერილებში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ და იქ დავინახავთ ნათლად მათს გარემოებას. ახლა-კი იმას ვიტყვი მხოლოდ, რომ მე სულაც არ მინდა ვსთქვა, ვითომ ეს გლეხ-კაცობა გაუჭირვებელს მდგომარეობაშია და ჩვენი მიშველება არ ეჭირვება-მეთქი. არა, სრულიადაც არა. ჩვენში ნივთიერად ჯერ ყველა ხარისხისა და წოდების ხალხი მეტად დაქვეითებულია და გაჭირვებული, მაგრამ აქ მიწის უქონლობა მაგდენ რიგად არაფერს შუაშია. მართალია, არის ისეთი კუთხეებიცა და მაზრებიც ტფილისის გუბერნიაში, საცა გლეხ-კაცობას საკმარისი მიწა არ უჭირავს, მაგრამ ამისთანათა რიცხვი ფრიად მცირეა. შემდეგ მათ შესახებაც მოვილაპარაკებთ.

ახლა-კი არ შემიძლიან ბ-ნს ა. ჯ—ს არ ვუსაყვედურო, რომ მან მიმალა კუთხეში 309,086 გლეხ-კაცი და პირში წყალი ჩაიგუბა, როცა ამათ ყოფა-ცხოვრების გამორკვევას შეეხო. ნუ-თუ საკმარისია სახაზინო გლეხ-კაცობის მდგომარეობის გამოსაკვლევად და დასასაბუთებლად მხოლოდ ის ციფრები და მოსაზრებანი, რომელნიც ბ-ნმა ა. ჯორჯაძემ მოიყვანა? „სახაზინო გლეხთა რაოდენობა ამერეთში **309,086**. მათ აქვთ საკუთარი მიწა მხოლოდ 9,757,^{45} დესეტინაო“... მე ხმასაც არ ამოვიღებდი და ეს ციფრი სულაც არ გამაოცებდა, რომ ბ-ნ ა. ჯ—ძეს ამ ცნობის გამოქვეყნებით სდომნოდა გამოკვლევა მხოლოდ მიწის მფლობელობის იურიუდიულის ხასიათისა (**юридическія основанія землевладѣнія**), და არა ამ ციფრის ეკონომიურ მნიშვნელობისა. ნუ-თუ ცხადი არ არის, რომ 9,757,^{45} დეს. ვერ გამოჰკვებავს 309,086 სულს და მიტომ, როდესაც ამათ ნივთიერ ძალ-ღონეზედ არის ლაპარაკი, უადგილოა ციფრი 9,757,^{45} დედესეტინის მოყვანა და მიმალვა და მიფუჩეჩება იმ მიწის რაოდენობისა (863,894 დესეტინა), რომლითაც გლეხ-კაცობა სცხოვრობს და რომელიც უპირველესი სალსარია მათის კეთილ-დღეობისა. მაგრამ მეტი ღონე არ იყო. ეს 309,086 სული გლეხ-კაცობა გადაელობა წინ ა. ჯორჯაძის დოქტრინას—ახალ მცნებას და აბა, მეტი რა ჩარა-ღა ჰქონდა? უნდა მიემალა და აკი მიჰმალა კიდეც, მაგრამ ნათქვამია,—მახათი ტომარაში არ დაიმალებაო. 309,086 ადამიანს ისე როგორ მიჰმალავდა, რომ არავის არ გაეგო.

მაშ, რითი ავხსნათ ის, რომ ბ-ნმა ა. ჯ—ემ, რომელიც ანაცვალებს გლეხ-კაცობას ყველას და ყოველსავე (ჯერ მხოლოდ სიტყვით, მაგრამ ესეც სასახელოა), მიჰმალა ამერეთის გლეხ-კაცობის უმრავლესობა და უმცირესობის გულისათვის საომრად მოემზადა და დიდის რიხით შეუტია ყველას, ვინც იმის მცნების მომხრე არ არის; შეუტია უიარაღოდ, თუმცა ყველას გვარწმუნებს, რომ შეჭურვილი ვარ „დასაბუთებულის ფაქტებით, ციფრებით“ და მეცნიერება-ფილოსოფიითაო.

ახლა კვალ-და-კვალ მივყვეთ სხვა ციფრებსაც და გამოვარკვიოთ ჩვენის სტატისტიკოსის „მეცნიერება-ფილოსოფია“.....

როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, ჩვენში კერძო მესაკუთრეთ ეკუთვნის 1.260.406 დეს., ე. ი. დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, თავად-აზნაურობას, ბეგებს, აღალარებს, სამღვდელოებას და მისს ჩამომავლობას, მოქალაქეთ და სხვა-და-სხვა წოდებათა კაცთ (ამათში უცხო ტომის წარმომადგენელნიც ბევრნი არიან) და აგრეთვე საუფლისწულოს, (**Удѣльное Вѣдомство**), მართლ მადიდებელ და გრიგორიანთა რჯულის (სომხების) ეკკლესიებს და მონასტრებს, საბერძნეთის მონასტრებს, სამხედრო, საგზაო და სხვა უწყების დაწესებულებათ.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რა რთული და ძნელი გამოსაკვლევია ის საგანი, რომელზედაც აღიძრა ბაასი ჩვენს პრესაში, ე. ი. განმარტება და გამოკვლევა იმისი, რა ნაირად არის განაწილებული ჩვენში მიწა წოდებათა შორის და რა შედეგი მოსდევს ამ განაწილებას. ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ არა გვაქვს ჭეშმარიტი სტატისტიკური ცნობები და ამიტომ გამოკვლევის დროს ყველა ძალიან ფრთხილად უნდა ეკცეოდეს აქა-იქ გაფანტულს მასალას, რადგანაც ციფრების მნიშვნელობის განმარტებას დიდი მოსაზრება ეჭირვება. განა შესაძლოა და ადვილია ჯერ ვინმემ ჭეშმარიტი ცნობები გვიჩვენოს და დაგვანახვოს ნათლად, რაოდენი მამული (მიწა) უჭირავს ქართველ თავად-აზნაურობას და რაოდენი სხვა გვარის ტომთ და სხვა-და-სხვა დაწესებულებათ? ბ-ნი ა. ჯ—ძე, როგორც ეტყობა, სულ სხვა აზრისაა ამაზედ. იმის ფიქრით, ეს საგანი არც მძიმეა, არც რთულა და ამიტომ ძალიან ადვილად გამოსაკვლევიც. საკმარისია კაცმა ხელთ იგდოს მხოლოდ ზემოდ მოყვანილი წიგნი (**сборникъ**), რომელიც ბ-ნ ა. ჯ—ს გადუჩხრეკია და შეუსწავლია და რომელზედაც ამყარებს მთელ თავისს მოსაზრებას, მორჩა და გათავდა. შესაძლოა ახლა მეც მისაყვედუროს ბ-ნმა ა. ჯ—ძემ და მიზეზიანობა დამწამოს, რაკი არ დავეთანხმე ბი მის ნაამბობს და მისგან ამ წიგნში მოყვანილ ციფრების განმარტებას, მაგრამ რა გაეწყობა? ან უნდა სინამდვილეს ვუღალატო და ბ. ჯ—ს დავეთანხმო, ან მიზეზიანის სახელი ვიკისრო და მოვახსენო, რომ მას ვერ შეუსწავლია ის წიგნი და ის ფაქტები, რომლითაც უხელმძღვანელნია.

ბ-ნი ჯ.--ძე გვარწმუნებს თავისს წერილში, რომ ვითომ „ტფილისის გუბერნიაში თავად-აზნაუ

---

[1] „ივერია“ №№ 26 და 27.

[2] Сборникъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи и способахъ хозяйства въ пяти губерніяхъ Закавказскаго Края, 1899 г.

[3] ეხლა ეს რიცხვი სულ სხვა არის, და მიწის რაოდენობაც, რომელიც გლეხ-კაცობას უჭირავს, მეტია. ამას შემდეგს წერილებში დავინახავთ.

ვტ.

რობის საკუთრებას შეადგენს 3,327 [4]) მამული“, ესე იგი სივრცით 1.260,406 დეს. მერე რითი ამტკიცებს ბ-ნი ა. ჯ.-ძე, რომ ეს 3,330 მამული ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკუთრებაა და ისიც ქართველ თავად-აზნაურობისა? მე თამამად მოვახსენებ მკითხველს, რომ ამას ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რადგან ამ მემამულეთა რიცხვში არიან მოქცეულნი ყველა ის წოდებანი, პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც ზემოდ არიან დასახელებულნი. ბ-ნ ა. ჯ—ს რომ ის წიგნი, საიდგანაც ეს ციფირი მოიყვანა, გულმოდგინეობით და ბეჯითად გადაეკითხა, დარწმუნდებოდა, რომ ეს 3,330 მამული მთლად თავად-აზნაურობას არ ეკუთვნის. საკმარისი იყო მხოლოდ სათაურის მნიშვნელობა გაეგო და დიდსა და დიდს შეცდომას ასცდებოდა. ნუ-თუ ეს შეცდომაც საჭირო იყო ბ-ნ ა. ჯ—ს დოქტრინის დასამტკიცებლად? ეს ცნობა 3,330 მამული (1.260,406 დესეტინა) მოყვანილია იმ წიგნის ნაწილში, რომელსაც სათაურად აწერია: „**О земляхъ, принадлежащихъ привилегированнымъ сословіямъ**“, ესე იგი ყველა განსაკუთრებულ უფლებით მოსილ წოდებათა და არა მარტო თავად-აზნაურობას. ეს უფრო ცხადი იქნება, თუ მცირე შრომას ვიკისრებთ და იმ წიგნშივე მოყვანილ შემდეგს ცნობას ამოვიკითხავთ: „რამდენი ეკუთვნის იმ მიწებში, რომელიც ზემორე მოხსენებულია, ვით საკუთრება, პრივილეგიით-მოსილ წოდებათა, საკუთრად თავად-აზნაურობასა, ამის ნამდვილად გამორკვევა იმ მასალის შემწეობით, რაც ხელთა გვაქვს (სიები საადგილ-მამულო გადასახადისა) ყოვლად შეუძლებელი იყო, იმიტომ, რომ, როგორც ამ სიებში, ისე გამიჯვნის დოკუმენტებში, ყოველგან არ არის მოხსენებული წოდება მამულის პატრონისა და ამისთანა შემთხვევაში შესაძლო იყო გვეხელმძღვანელნა მხოლოდ მამულის პატრონის ხარისხითა და გვარითა“ [5]).

ამ ცნობის გამოქვეყნებით და თავისებურ „მეცნიერ-ფილოსოფიურ“ გამოკვლევით ბ-ნმა ა. ჯ—ძემ დიდი გულკეთილობა გამოიჩინა და დიდ-ძალი მიწა უწყალობა ქართველ თავად-აზნაურობას., და რა-კი უწყალობა თავად-აზნაურობას საუფლისწულო, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის, მონასტრებისა, ეკკლესიებისა, მოქალაქეთა და სხვა და სხვა კაცთა და დაწესებულებათა მამულები, და ამასთანავე, რა-კი შეუბრალებლად მოექცა ჩვენს გლეხ-კაცობას, ჩამოართვა ის მიწები, რომლებიც იმის სარგებლობაშია, თან უპირველესი სალხინი მისის კეთილ-დღეობისა და აქამდე ის მიწები სრულის უფლებით თავის საკუთნოდ მიაჩნია, დიაღ, რა-კი ასე მოიქცა ბ-ნი ა. ჯ—ძე, რასაკვირველია, ადვილი შეიქმნა მისთვის იმ აზრის თამამად გამოქვეყნება, „რომ თავად-აზნაურობას, რომელიც რიცხვით ათჯერ მაინც არის ნაკლები გლეხობაზედ, ამერეთის მესაკუთრეთა გლეხობაზე შვიდჯერ მეტი აქვს მამულიო“. („ცნ. ფ.“ № 1693 [6]).

რა-კი ამ უცნაურ გზას დაადგა ბ-ნი ა. ჯ—ძე და ეს მოყვანილი აზრი დამტკიცებულად აღიარა საქვეყნოდ და ყველას, ვინც ამ მცნებას არ ეწაფება, დიდად უწყრება და ჰკიცხავს, სხვა ფაქტიც დასაბუთებულ აქსიომად გამოაქვეყნა და აღიარა საყოველთაო სახელმძღვანელოდ: „რადგანაც საერთოდ აღებულ თავად-აზნაურობას მეტი ქონება აქვს, ვიდრე გლეხ-კაცობას, ამისათვის სიტყვა „წოდება“ ჯერ კიდევ არ დაძველებულაო!“.

ვერ დავიტრაბახებ, რომ მეცნიერ-ფილოსოფოსი ვარ-მეთქი, მაგრამ მეც ცოტა რამ ვიცი ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და პირველ ჩემს წერილში გავბედე ამაზედ საუბარი მკითხველთან. თანაც დავძინე, რომ სასურველია, ყველამ გაზეთის საშუალებით გვაცნობოს, რაც უნახავს, შეუსწავლია და გამოუკვლევია სოფლელთა ცხოვრების შესახებ. რა არის აქ გასაჯავრებელი და საწყენი? ამასთანავე ისიც გავბედე და დიდის მორიდებით მივმართე ჩვენს ახალ მეცნიერს შემდეგის სიტყვებით: „ბოდიშს მოვიხდი ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის წინაშე, მაგრამ, თუ ნებას მომცემს, ძმურად მოვახსენებ იმას, რაც მის დედა-აზრებში შეცდომას ვხედავ და რაც ჩვენის ერისთვის მავნებლად მიმაჩნია“.

ამის თქმით არც ვისიმე დამცირება მსურდა, არც რომელისამე მოძმის დამარცხება და გაკიცხვა... ვიმეორებ, აქ საწყენი არა იყო-რა. გამოჩენილნი მეცნიერნიც შესცდებიან ხოლმე და არა სწყინთ, როდესაც სხვა გაუსწორებს შეცდომას. მაშ, ბ-ნს ა. ჯ—ს რად უნდა სწყენოდა ჩემი სიტყვები? მაგრამ ბ-ნი ა. ჯ—ძე ისე აღელვებულა ჩემის წერილით და იქ მოყვანილ სიტყვებით: „ჩემის აზრით, ძლიერია და დაუძველებელი დღემდე თავად-აზნაურობა, ქონებით კი არა, არამედ მარტო იმ ისტორიულის ტრადიციით და იმ მოვალეობით, რომელიც მას აკისრა ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ“, დიაღ, ისე გაუჯავრებია ამ სიტყვებს, რომ აღარ მაცალა დაპირებული ციფირებით დამესაბუთებინა ჩემი წერილი; არც აცივა, არც აცხელა და აჩქარებული წერილი მტყორცნა („ცნ. ფ.“ № 1720).

მერე რა საამო კილოთია ის წერილი დასტამბული? რა გინდათ, რომ შიგ არ არის: „რეაქცია“, „კონსერვატორები“, „რომის ბატები“, „მუქთა მჭამლები“, „სულთა ბრძოლა ძველის წესისა“, „რახა-რუხი“, „ფაცა-ფუცი“...

ამ კილომ და ამ ჰანგებმა ძალიან გამაოცა: არ მეგონა, რომ ბ-ნი ა. ჯ- ძე—ეს სასტიკი მოწინააღმდეგე კონსერვატორებისა, ამ ძველთა-ძველის იარაღით აღიჭურვებოდა. დიაღ, ბ-ნმა ა. ჯ—ძემ სიტყვა ბანზედ აავდო, საუბრის საგანს გაუსხლტა და დიდის რიხით და ზეიმით შემოგვიტია მეც და „ივერიის„ თანამშრომლებსაც: გიცნობთ, ვინცა ბძანდებითო, „მუქთა მჭამლების მოსარჩლენო, თქვე რეაქციონერებო, კონსერვატორებოო! შიშმა აგიტანათ, რომ მე ახლად წარმოშობილი (?) დამინახეთო, მაგრამ თქვენი რახა-რუხი და ფაცა-ფუცი ძველის წესის სულთა ბრძოლააო...

გაგონილა?! თურმე ყველა, ვინც ბ-ნ ა. ჯ—ძის მცნებას არ მიიღებს, რადგან ეს მცნება ახლად წარმოშობილია, ის რეაქციონერ-კონსერვატორია! არა, ბატონო, მართალია „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, მაგრამ შვილიც არის და შვილიც. განა ყველა შვილი სჯობიან მამასა? ახალ-შობილიც შესაძლოა მახინჯი დაებადოს კარგ დედ-მამას და ამ უკანასკნელთა სიკარგით, მახინჯი ვერავის ვერ მოჰხიბლავს, როგორც დიად დოქტრინის მიმდევარობით ბ-ნი ა. ჯ—ძე თავის უსაფუძვლო მოძღვრებას ნამდვილ მამულისშვილებს ვერ მოაწონებს.

რომ ცოტა მოეცადნა ბ-ნს ა. ჯ—ძეს და აჩქარებულის წერილით არ გამოლაშქრებულიყო, არ დაიწყებდა უიმედო ძებნას „ივერიის მეცნიერულ ნახტომებისას“ და სხვის თვალში ბეწვისათვის ყვედრებას დროს არ მოანდომებდა, როდესაც თავისს თვალში მთელი დვირე მოსაშორებელი ჰქონდა. როგორ? ბ-ნი ა. ჯ—ძე 941 სოფელს და რვაას ათას (800,000) დესეტინა სახაზინო გლეხთა მიწას, საუფლისწულოსა, ბორჯომისა, ყარაიისა, მოქალაქეთა და სხვათა და სხვათა მამულს გადაახტა და სხვის ვითომდა ნახტომი აკვირვებს? ჰგონია კიდეც, რომ, რაკი ამოჰგლეჯდა ჩემ წერილიდგან სიტყვას „მარტო“, დაამბლებდა ამ სიტყვას და ავ დედინაცვალივით ჩქმეტას და ჯიჯგნას დაუწყებდა, ამით რასმე დაასაბუთებდა და თავისს მცნებას გააძლიერებდა. არა, ბატონო, სერიოზულ ბაასის დროს, როცა საჭიროა ფაქტებით და ციფირებით დასაბუთება მძიმე გამოსაკვლევის საგნისა, ლათაიობა და ოხუნჯობა საკადრისი არ არის.

ვისაც ჰსურს გამოიკვლიოს თავად-აზნაურობის აწმყო მნიშვნელობა და განგებ თვალებს არ იხვევს სხვა-და-სხვა დოქტრინებით, იმას ხელთ ექნება საკმარისი საბუთები, რომ ეს წოდება „მუქთა მჭამელად“ და მეტ ბარგათ არ იცნოს ჩვენს ცხოვრებაში. აქ არაკის „ბატები“, რომლებმაც იხსნეს რომი განსაცდელისაგან, არაფერს შუაშია და ბ-ნი ა. ჯ—ძე ამით ვერას დაასაბუთებს, როგორც ვერას გვიშველიან ჩვენი გაბღინძული ინდოურებიც, რომელთაც, მართალია, ქვეყანა განსაცდელისაგან არ იხსნეს, მაგრამ დარბაისლურად, დიდად ჩაფიქრებულნი დაყიალობენ და ფილოსოფიურის შეხედულობით შინაურს ფრინველებს აკვირვებენ. დიაღ, სერიოზულ ბაასის დროს ოხუნჯობა და შემოტევა იარაღი არ არის. ამით უსუსურ ბავშვს თუ შეაშინებს, თორემ სხვას ვერავის. აჩქარებული და მკაცრი წერილები უალაგოა, როდესაც ბაასი დიდს შრომას მოითხოვს, დიდს ძიებასა და შესაფერ მოსაზრებასაც. გულ-ფიცხობით და აჩქარებით არა გამოირკვევა-რა. „აჩქარებით სოფელი არავის აუშენებიაო“, მაგრამ, როგორც დამეთანხმება მკითხველი, ჩვენში ბევრს აჩქარებით წერილებიც დაუსტამბავს, ციფირებიც მიუკიბ-მოუკიბია, გაუხლართ-გამოუხლართია და ამით აზრებიც აურ-დაურევია და ჰაერში არა ერთი კოშკი აუშენებია ბ-ნ არჩილ ჯორჯაძისთანა ხუროთ-მოძღვარს.

მ. ტფილასელი.

---

[4]) ზემოდ მოყვანილ წიგნაკში (сборникъ статистическихъ данныхъ 1899 года) ეს რიცხვი 3,330 მამულია ნაჩვენები. ეს უბრალო შეცდომათ მიმაჩნია, რადგანაც იმავე ბ-ნ ა. ჯ—ძის წერილშია მოყვანილი ცხრილი და იქ ნაჩვენებია 3330 მამული.

[5]) Какая часть земель, названныхъ выше землями, принадлежащими привилегированнымъ сословіямъ, составляетъ исключительную собственность дворянъ, выяснить точно по имѣющемуся источнику (списки по обложенію поземельнымъ налогомъ) не было возможности, потому, что, какъ въ этихъ спискахъ, такъ и межевыхъ документахъ, не всегда было показано сословіе владѣльца и въ этихъ случаяхъ можно было руководствоваться только званіемъ и фамиліею владѣльцевъ“.

[6]) ესეც შეცდომაა: თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიაში ოც და **ხუთჯერ** არის ნაკლები გლეხკაცობაზედ.

აიტ.

მიწის ძვრის ამბები.

შემახა.

⁂ ამ თვის 7-ს, ღამის პირველ საათზე, სამი-ხუთი წუთის განმავლობაში კიდევ ყოფილა შემახაში მიწის-ძვრა. თებერვლის 8-ს დილის $9^1/_2$ საათზე და შემდეგ 11 საათსა და 20 წამს კვლავ შეირყა მიწა. დილის მიწის ძვრა უფრო ღონიერი იყო, ვიდრე ღამისა.

საშიშარია, რომ რაიმე გადამდები სენი არ გაჩნდეს. ამიტომაც მთავრობა ჰფიქრობს ამ 8—10 დღის განმავლობაში შემახიის ქვემო უბნის მცხოვრებნი საერთო ფარდულებსა და კარვებში მოათავსოს და გადუთხრელ ნანგრევებს კირ-წყალი მოასხას. ყველა აბანოების რიცხვი შემახაში 16 ყოფილა და არა 12, როგორც აქამდის ჰგონებდნენ.

სულ უბრალო ანგარიშით, თითოეული აქაური სახლი რომ 2,000 მანეთად ვივარაუდოთ, მაშინაც შემახელ სახლის პატრონთა ზარალი ათ მილიონამდე იქნება. მმოძრავი ქონების ზარალი თუ ვიანგარიშეთ, მაშინ ხომ ეს თანხა ერთი ორად და სამად უნდა გავამრავლოთ.

თან-და-თან არა სანუგეშო ამბები მოდის მიდამო სოფლებიდგან, რომელთაგან უფრო ბევრი დაზარალებულან, ვიდრე აქამომდე ეგონათ. ს. დილმანიდგან შემახაში მოვიდა იქაური სახალხო სკოლის მასწავლებელი. ხსენებულს სოფელში ყველაფერი დანგრეულა, ორი კაცი მომკვდარა და ათი დაჰრილა. შემახელ სომხებს, ლოტრანგის სარწმუნოებისას, შემწედ აღმოუჩნდათ ბაქოელი ლოტრანგთა საზოგადოება, რომელიც შემახიდგან წამსვლელ თითოეულ სომხის ოჯახს პირველი სამის თვის განმავლობაში 25 მანეთით ეწევა.

შედარებით სხვა ეკკლესიებსა და სალოცავებთან ყველაზე უფრო ნაკლებ დაზიანდა სომხის ეკკლესია. მიწის ძვრის დროს შიგ ყოფილა სამასი სომეხი. მიწის პირველ შერყევისათანავე ყველანი გარედ გამოცვივნულან და მით გადარჩენილან. მხოლოდ ზოგიერთნი დაშავებულან კედლებიდგან ჩამოცვივნულ გაჯისაგან.

ცხრა თებერვალს დილით აქ დასთოვა, ღამით გაჰყინა. ქუჩები დაფარულია $^1/_4$ ადლის სიღრმე თოვლით. ეტყობა სამარხილე გზა დადგება. ამ ჟამად აქ იღვწის თოთხმეტი ექიმი.

შემახელთა დამხმარე კომიტეტის სხდომებზედ თან-და-თან ირკვევა დაზარალებულთა გაჭირვებანი. მთავარი საზრუნავი ეხლა ის არის, რომ ქალაქის ნანგრევთა შორის დარჩენილ ხელ-მოკლე და საწყალ დაზარალებულთათვის დროებითი თავშესაფარნი ააშენონ. ხეტყის მასალა არის, საჭიროა მხოლოდ ბრეზენტები, ქეჩები და ნაბდები. ავადმყოფთათვის აქ ჩამოიტანეს დანიური სახლები, რომელთაც სდგმენ რუსთა ეკკლესიის პირდაპირ. ხის ფარდულების ირგვლივ სდგმენ ჯარის-კაცების კარვებს, ფერშალ-ქალთა და მოწყალებისა დებისათვის. საპყრობილეს იქით დადგეს ჯარის-კაცთა 30 კარავი, რომელშიაც ჰსურთ დააყენონ თავშესაფარს მოკლებულნი შემახელნი.

თებერვლის 10-ს აქ მოვიდა უფრო დაწვრილებითი ამბები მახლობელ სოფლებიდგან. დაზარალებულ სოფლების რიცხვი 34 მდე ადის. შენობები მათშიაც ყველა დანგრეულა ისე, როგორც შემახაში. მცხოვრებთაგან-კი 50 არის დაჰრილი თუ მკვდარი. საწყლებს სჭირიათ თავ-შესაფარი და პური. სიცივე არა ნაკლებ სიმშილისა აჭირვებს საქმეს.

შემახაში პურის დარიგება დაზარალებულთათვის შესწყვიტეს ამ თვის 7-ს და თებერვლის 7 და 8 ექვსას კაცს დაურიგეს 2,500 მანეთი გზის ხარჯად. ისინი ყველანი მიდიან არეშს, აღდაშს, კუბასა და ბაქოში. უმთავრესად-კი ამ უკანასკნელში.

პირველად მიწის ძვრის დროს სომხის სკოლაში სწავლა იყო. ყველანი ქუჩაში გამოვარდნენ. მასწავლებელმა დაითვალა მოწაფეები და აღმოჩნდა, რომ ორი ყველაზე უფრო პატარა ბავშვი აკლდათ. ყველა შეუდგა ნანგრევებში ძებნას და მალე ნახეს, რომ საბრალო პაწაწკინები სტოლის ქვეშ მოკრუნჩხულნი ერთმანეთს მიჰკვროდნენ... ორივე ცოცხალი იყო... მნახველთა და ნახულთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა...

შემახის საზღვარს ახლო, ერთს ხევში, აგებულია ნავთის მწარმოებელთაგან ხის კოშკი, რომელსაც სრულიად არა ვნებია-რა... ესეც კიდევ ერთი საბუთი, თუ რამდენად უშიშარია მიწის ძვრის დროს ხის შენობები სხვა გვარ შენობებთან შედარებით („კასპი“).

ახალი ამბავი

⁂ გუშინ დილით ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, რომელიც 9 თებერვალს შემახაში გაემგზავრა მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ქალაქისა და სოფლების დასათვალიერებლად.

⁂ დღეს ქართულს თეატრში მეტად საინტერესო წარმოდგენაა დანიშნული. თამაშობენ „მეფე ლირს“ კ. ყიფიანის მონაწილეობით. გავახსენებთ მკითხველებს, რომ ამ პიესაში პატივცემული არტისტი საუცხოოდ თამაშობს უმთავრესის გმირის როლს.

⁂ ადგილობრივ გაზეთების წყალობით და კერძო პირთა საჩივრით ქალაქის გამგეობის ყურამდე მიაღწია ხმამ, რომ ტფილისში ძლიერ ცოტა საკლავი იკვლის, ასე რომ ზოგ-ზოგი ქალაქის ოჯახობა უხორცოთ რჩებიან. ამ საქმის გამო ქალაქის გამგეობის გუშინწინდელ სხდომაზედ მოიწვიეს სავაჭრო-სამეურნეო უფროსი აგენტი ალიხანოვი, რომელმაც გამგეობას წარუდგინა შემდეგი მიზეზები საკლავის შემცირებისა: 1) ადმინისტრაციის განკარგულებით ძნელი წესებია დაარსებული ბორჩალოს მაზრიდგან და ყარსის ოლქიდგან საქონლის ჩამორეკაზედ. 2) ჩრდილოეთ კავკასიიდგან არ მოდის საკლავი სიცივეების გამო. 3) ნიხრის სიიაფეს უჩივიან ყასბებიო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: სთხოვოს ქალაქის საბჭოს იშუამდგომლოს გუბერნატორის წინაშე, რათა დროებით მაინც შესცვალოს განკარგულებანი ყარსის ოლქიდგან და ბორჩალოს მაზრიდგან საქონლის ჩამორეკის შესახებ. აგრეთვე ეთხოვოს საბჭოს, ვიდრე ძალაში შევა ახალის წესით ხორცის გაყიდვა და ახალი ნიხრი, აწინდელს ნიხრს მიემატოს ერთი კაპ. ე. ი. 9 კაპ. მაგიერ 10 კაპიკად შეეძლოთ ყასბებს ხორცის გაყიდვა.

⁂ რადგანაც ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელი კასსა აღარ ჰმოქმედებს და რადგაც გამოურკვეველ საგნად არის გადაქცეული ამ კასის საქმე, ამის გამო ამ დღეებში თხოვნა მისცეს ქალაქის გამგეობას თვითმმართველობაში თითქმის ყველა მოსამსახურეებმა, რომ გამგეობამ იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე, რათა ნება დაჰრთონ მათ გაჭირვების დროს ავანსად აიღონ ხოლმე ჯამაგირები იმ პირობით, რომ გადახდა თვე-და-თვე წვრილ-წვრილად შეეძლოთ.

⁂ დანიის როსტოველი კონსული სწერს ტფილისში მაშინებითა და სამეურნეო იარაღით მოვაჭრე კრაუზეს: დანიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას განზრახული აქვს სამეცნიერო მოგზაურობა რეველიდგან დანიაში. ამის გამო ხსენებულმა საზოგადოებამ დაავალა მოსკოვის პროფესორს კულიშოვს და მოთათბირეს ფრიზეს კაპენჰაგენში გამოგზავნონ მსურველები ამ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღებისა. მოგზაურებს უფრო აზრად აქვთ მეძროხეობის შესწავლა. კონსული იწერება აგრეთვე, ხომ არ მოიძებნება ვინმე მსურველი კავკასიაში, რომ ამ მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღოსო? კრაუზე თავისს მხრივ შეეკითხა სამეურნეო საზოგადოების მდივანს იოსელიანს, თუ მსურველი აღმოჩნდა ვინმე ზემოხსენებულ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღებისა შეუძლიან დაწვრილებითი ცნობები შეიტყოს მასთან, კრაუზესთან, მიხეილის ქუჩაზედ, № 79, კვირა-უქმის გარდა, საღ. 5 საათ. 8 საათ.

⁂ ბრმათა სამზრუნველოს აქაურის განყოფილებისათვის ნინო ნაზარბეგოვისას შეუწირავს 150 მანეთი.

⁂ იმავ განყოფილების საბჭო აცხადებს, რომ ამ 1902 წლის დამდეგისათვის განყოფილების კასსაში ყოფილა 9,749 მან. 96 კაპ. იანვარში შემოვიდა—3,944 მან. 06 კაპ. სულ 13,694 მან. 02 კ. იმავე თვეში დაიხარჯა 3,175 მან. 43 კაპ. თებერვლის დამდეგს დარჩა 10,518 მან. 59 კაპ. მთელი ეს თანხა შენახულია სხვა-და-სხვა ბანკებში.

⁂ თვალთა სამკურნალოს განყოფილებაში იანვრის განმავლობაში 733 ავადმყოფი ყოფილა. ესენი და ძველი ავადმყოფნი მისულან სამკურნალოში 3,390-ჯერ. იმავ დროს განმავლობაში აპერაცია გაუკეთებიათ 67-ჯერ, მათ შორის 18-ს მომსვლელს და 49 იქვე, სამკურნალოში, მწოლიარეს.

⁂ ჩუღურეთის საკვირაო სკოლისათვის ბ-ნს გიორგი სხირტლაძეს შეუწირავს ათი მანეთი, რისთვისაც გამგე სკოლისა—მ. ვ. მაჩაბლისა დიდს მადლობას უცხადებს.

⁂ სახელიწოდო სათავად-აზნაურო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებას წრევანდლამდე დაგირავებულ მამულთაგან დარჩენია სავალო გარდასახადთა შემოუტანლობის გამო 40 მამული.

⁂ დღეს შემახიიდგან მოელიან დაბრუნებას მეორე მსროლელთ ბატალიონისას, რომელიც იქ ამას წინად იქნა გაგზავნილი ნანგრევთა გადასათხრელად.

⁂ კავკასიის მადანთა მმართველობის უფროსად ნამყოფი დეისტ. სტატ. სოვ. შოსტაკი პეტერბურგს წავიდა, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროში დააჩქარებინოს იმ თხოვნის გარდაწყვეტა, რომელიც ამ ორიოდე თვის წინად ხსენებულს სამინისტროს მისცა, რათა მისთვის, შოსტაკისათვის, მიეზომათ დასამუშავებლად გლდანის მიდამოების ოქროს მადნიანი რამდენიმე ნაჭერი მიწა.

⁂ ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციის განკარგულებით დროებით აღკრძალულია ბორჩალოდგან დასაკლავ საქონლის ჩამორეკვა, რადგანაც ხსენებულს მაზრაში საქონლის ჭირი გაჩენილა.

⁂ რედაქციამ მიიღო ახლად დამტკიცებული წესდება „ტფილისის სამარხ კასისა„.

იმერეთის ამბები:

⁂ **ქუთაისი**: ამ თვის 16-ს აქ იმართება ქართველ არტისტების, ვ. მესხიშვილისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით, წარმოდგენა შემახაში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

იმავე დაზარალებულთა სასარგებლოდ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლები აპირებენ ფულების შეკრებას.

⁂ **ხონიდგან** გვატყობინებენ: ელენე ბახტაძის დედათა პროგიმნაზიასთან დაარსებულ ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებას ამას წინად სხდომა ჰქონია, რომელზედაც კრებას ჩვენი პატივცემული პედაგოგი იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი ერთხმად ამოურჩევია თავისს საპატიო წევრად.

⁂ **სოხუმი**: 8 თებერვალს დილის 11 საათზე სოხუმში მობრძანდა საფოსტო გემით „ქსენიათი“ პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგისა. უმაღლესს სტუმარს ქალაქისა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი მიეგებნენ ნავთსადგურზე, რომელიც მშვენიერად იყო მორთული მწვანითა და ბაირაღებით. ქალაქის მოურავმა და ოლქის უფროსმა პურ-მარილი მიართვეს. ზღვის პირის ქუჩაზე მისის უმაღლესობის პატივსაცემლად დაყენებული იყო სოხუმის გარნიზონი.

ღამე მისმა უმაღლესობამ გაათია სოხუმში სასტუმრო „როსიაში“ და დღეს, 9 თებერვალს, გაგრისაკენ გაემგზავრა ავტომობილით შავი ზღვის ნაპირის გზატკეცილით.

დაბა და სოფელი

სოფ. ტოლა (ლეჩხუმის მაზრა). მართალია, წელს ჩვენში დიდი თოვლი არ მოსულა, მაგრამ ამინდი-კი შემოდგომიდგანვე ძალიან ცუდი დაიჭირა. მთელი გიორგობისთვე და ქრისტეშობისაც თითქმის განუწყვეტლივ სწვიმდა. ასეთმა დაჟინებულმა ავდრებმა ძალიან შეუშალა ხელი მუშა ხალხს: ხვნა-თესვა მოუხერხებელი შეიქმნა და პურის დათესვის დრო მხვნელ-მთესველს ხელიდამ წაუვედა. ჩვენში თუ შემოდგომაზედვე არ დაითესა პური, ველარ ხეირობს და, რასაკვირველია, წელს პურის მოსავლის იმედი არ არის აქეთ.

სამწუხაროდ, ეს რამდენიმე წელიწადია, პურის მოსავალმა ჩვენში, თავისს დროზედ დათესილმა, შესამჩნევად დაიწია, და წელს, რასაკვირველია, უდროო დროს დათესილი სულ აღარ არის საიმედო; ბევრი საპურე ადგილები სულ დაუთესელი დარჩა.

წლევანდელი ხანგრძლივი წვიმიანი ზამთარი სხვა მხრივაც დიდი დამაზარალებელი შეიქმნა ჩვენის ხალხისათვის; რამდენიმე მეკომური გლეხი აჰყარა, ააღრიაქა მეწყერმა, სამოსახლო ალაგი სულ დაურღვია. ბევრმა შენობები ძლივს გადაარჩინეს მოზღვავებულს მეწყერს. გზები ხომ სულ გააფუჭა და დაარღვია.

ჩვენს ხალხს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრ-გვარი წურბელები ახვევია, რომლებიც შეუწყალებლად სწოვენ სისხლს; ზოგის ამათგანის თავიდამ მოშორება, რასაკვირველია, ჩვენის ხილხის ძალ ღონეს და სურვილს არ ექვემდებარება; მაგრამ საკვირველი ის არის, ვის მოშორების უფლება აქვს დაძალ-ღონეც შესწევს, იმათ შესახებაც ვერ ამოუღია ხმა სოფლელ ხალხს. მაგალითად, ვინ არ იცის, რომ სოფლებში ჩაბუდებული მედუქნეები როგორც ეკონომიურის მხრით არის მაზარალებელი სოფლელის ხალხისა, ისე ზნეობრივის მხრივ არის დამაქვეითებელი და გამხრწნელი? ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც ჩვენის უმთავრესის გზატკეცილების ნაპირები დაჭერილია ჩარჩ-მედუქნეების რეზიდენციებით, სადაც ულმობლად აძრობენ ტყავს უმეცარ სოფლის ხალხს. ამ „კუპეცებისათვის“ არ არსებობს არც საზომი და არც სასწორი; მაგრამ როდესაც სოფლელებისაგან უნდათ იყიდონ მედუქნეებმა პური, ღვინო და სიმინდი, მაშინ-კი, ღვთის წყალობა გაქვთ, ისეთს საწყაოს გამოსდგამენ თავიანთ დუქნის ყაფაზაზე, რომელიც რამდენისამე ოყით მეტია კანონიერზე. როდესაც თვითონ ჰყიდიან? მაშინ, რასაკვირველია, სულ სხვა გვარი საწყაო დაიბადება. ოც გირვანქად მიყიდული თორმეტი გირვანქაც არ გამოდის, ფასზე ხომ რაღა უნდა მოგახსენოთ, ყველაფერს მამასისხლად ჰყიდიან და მანეთის საღირალში სამ მანეთს მაინც ართმევენ სავაჭრო ფასის უმეცარს სოფლელს. საკვირველია, რომ ამ ჩარჩებს კანონისა და წეს-რიგის დამცველნი ყურს არ უგდებენ და სავაჭრო ნიხრს არ უწესებენ! ძალიან გამჭრიახის გონების პატრონი პოლიციელია საჭირო, რომ ამ მედუქნეების გაიძვერობა

თვალსაჩინო ჰყოს! ჩარჩი რაღას ჩარჩი იქნება, თუ გაიძვერულ ხრიკების და მოხერხების უნარი არა აქვს?! გაჩნდება როდისმე მათ სიახლოვეს პოლიციის მოხელე თუ-არა, ყალბ სასწორ-საზომს მაშინვე სადმე ჯურღმულში ჰმალავენ და კანონიერს სასწორ-საზომს მხოლოდ ამ შემთხვევაში აღირსებენ ხოლმე მზის შუქის ხილვას...

სუქდებიან ამ რიგად მედუქნე დედა ხარდლები და მჭლევდებიან მათ მიერ ძარღვებ-დაცლილნი სოფლელნი.

ზნეობრივის მხრივაც დიდი ზარალი მოაქვს ხალხისათვის სოფელში ჩაბუდებულ მედუქნეს. მუშა ხალხი მიეჩვია დუქანს და იქ ბახუსის ტრფიალს, ლოთობის სენი გაუჯდა ძვალსა და რბილში ჩვენს მდაბიო ხალხს და ეს ხომ დიდად დასაფიქრებელია.

ამას წინად ერთი ღარიბი გლეხი ჩასულა ჰრებალოს, სადაც დუქნებია გამართული. ათი დღე უმუშავნია რაღაც სამუშაოზე, დღეში ათ შაურად, მეათე დღეს საღამოზე მიუღია ხუთი მანეთი და შესულა იქვე დუქანში პურის საჭმელად; მადლიანს მასპინძლებს უხვად მიურთმევიათ ბახუსის წვენი დაღლილ მუშისათვის, რომელიც, რასაკვირველია, მალე დამთვრალა. ტვინ-გახურებულის გლეხისათვის რომ შემდეგ უანგარიშნიათ ვახშმის ფასი, გამოსულა ანგარიშით ექვსი მანეთი! ხუთი მანეთი, ათის დღის ნაოფლარი, რასაკვირველია, გამოუცლიათ ხელიდამ და ერთი მანეთიც ვალად დააწერეს თურმე.

გავლილს ზ.ფხულს სვანეთში ერთი ტრაგი-კომიკური შემთხვევა მომხდარა: ერთს ვაჟბატონს, რომელსაც რაღაც საქმეები ჰქონია აქეთკენ, ჩამოუვლია სოფ. ჩოლურზე და დაუნახავს წისქვილში ორი თუ სამი ქალი მარტოდ-მარტონი. ვაჟბატონი გაუტაცია ვნებათა ღელვას და დაუპატიჟებლად სტუმრებია წისქვილში მანდილოსნებს. ამ ქალებში რეულა ერთი საკმაოდ ლამაზი, არა დაბალის წოდების ქალი და, რასაკვირველია, ჩვენს რაინდსაც მიზანში ის ამოუღია. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, კოჭი ალჩუს ვერ დასჯდომია: ქალი მამაცად შეჰბრძოლებია; იმას მიჰშველებიან დანარჩენი ქალებიც, დაუციათ ძირს ვნებათა ღელვით აღტყინებული რაინდი და ბევრი უცემიათ. წაურთმევიათ იარაღი და საათი და, როგორც გვიამბეს, ტანისამოსიც; ბოლოს ძლივს პერანგის ამარა გამოჰსხლეტიათ ხელიდგან გოლიათ ქალებსა და გამოქცეულა ლეჩხუმისაკენ. ეს ამბავი, გაუგიათ თუ არა ქალების პატრონთ, გამოსდევნებიან უკან და, რომ მოსწეოდნენ, თქვენს მტერს გაუთენდეს ისეთი დღე, როგორსაც იმას გაუთენებდნენ!.. მაგრამ უარესს გადაჰრჩენია...

ქაიხოსრო გედევანი.

რუსეთი

— ლევ ტოლსტოი ახლა გაცილებით უკეთ არის; მისი ავადმყოფობა არაფერს საშიშს არ წარმოადგენს და სრული იმედი აქვთ, რომ მალე სულ კარგად შეიქმნება ავადმყოფი.

— საშუალო სასწავლებლის რეფორმის კომისია 14 პატარა კომისიად დაუყვიათ სხვა-და-სხვა საგნების ცალ-ცალკე განსახილველად.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მომავალ წლიდგან მმოძრავი სკოლები დამართოს იქ, სადაც პირველ-დაწყებითი სასწავლებლები ძალიან ცოტაა.

— პეტერბურგში არსდება ახალი გაზეთი „ზარია“ (Заря).

— პეტერბურგის ნოქრებს განუზრახავთ ახალის საზოგადოების დაარსება, სახელად „სადღესასწაულო მოსვენება“. საზოგადოების საგანი იქნება გონებრივი და სასარგებლო გასართობი მიაწოდოს თავისს წევრებს. საზოგადოებასთან დაარსებული იქნება ბუჰგალტერიის, კალიგრაფიისა და გერმანულის ენის კურსები.

— მოსკოვის გენერალ-გუბერნატორსა დიდს მთავარს სერგი ალექსანდრეს ძეს მექანიკურის წარმოების მუშათა დეპუტაცია მიუღია. დეპუტაციაში 12 კაცი იყო. დეპუტაციამ მადლობა გამოუცხადა მისს უმაღლესობას მუშებისადმი ნდობისათვის და „მექანიკურის წარმოების მუშათა ურთიერთო დახმარების საზოგადოების“ წესდების დასამტკიცებლად წარდგენისათვის.

— 8 თებერვალს, როგორც ვიცით, პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩვეულებრივი წლიური აქტი არ მომხდარა. საქტო ანგარიშიდგან სჩანს, რომ უნივერსიტეტში ყოფილა 49 პროფესორი, 24 დამსახურებული პროფესორი, 6 ლექტორი, 4 მასწავლებელი, 101 პრივატ-დოცენტი. 1901 წ. 1 იანვრისათვის სტუდენტების რიცხვი ყოფილა 3,584 და თავისუფალ მსმენელთა — 28; წლის განძავლობაში შესულა 1,187 სტუდ. (879 გიმნაზიებიდგან, 64 სხვა უნივერს. 19 სასულ. სემინ., სხვა სასწავლ. 50 და ხელ-ახლა მიღებული ყოფილა პეტ. უნ. სტუდენტებად ნამყოფი 175), უნივერსიტეტიდგან გასულა 1,063 კაცი (კურსი გაათავა მათში 599) და 1902 წ. 1 იანვრისთვის უნივერსიტეტში იმყოფება 3,708 სტუდ. და 67 თავისუფ. მსმენელი, სულ 3,775. უნივერსიტეტს წლის განმავლობაში დაჰხარჯვია პროფესორებსა და სხვა თანამდებობის კაცებზედ 254,345 მან., სამოსწავლო ნივთებზე და სხ. 185,771 მან.

— ამას წინად ჰელსინგფორსში წლიური კრება ჰქონია ფინლანდიის ქალთა საზოგადოებას „Unionen“, რომელიც დაარსებულია 1892 წ. წინაამდეგ მეორე საქალებო საზოგადოებისა, რომლის წევრებად მარტო ქალები არიან; ახალს საზოგადოებაში ქალებიც არიან და კაცებიც. ორსავე საზოგადოებას ერთი და იგივე საგანი აქვს — ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც ოჯახში ისე საზოგადოებაში და ქალების და კაცების უფლებათა გათანასწორება. ორივე საზოგადოება ძალიან ეხმარება ქალების გონებრივ განვითარებას, ჰმართავს სკოლებს, სამკითხველოებს, ლექციებს და კურსებს. ამ საზოგადოებათა ზედგავლენით ფინლანდიის კანონმდებლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდა, მიმართული ქალთა უფლების გასაძლიერებლად.

უცხოეთი

ინგლის-იაპონიის კავშირი. ამ კავშირის შესახებ ჯერ კიდევ ბევრსა სწერენ გაზეთები. პირველმა აღტაცებამ განვლო და ეხლა ინგლისური გაზეთები დინჯად სჯიან და იკვლევენ ყოველსავე წვლილს ამ კავშირისას. ბევრი გაზეთი დიდადა სწუხს იმის გამო, რომ ინგლისი, საქრისტიანო სახელმწიფო, იაპონიას, კერპთ-თაყვანის მცემელთა სახელმწიფოს, დაუკავშირდა. ეს კავშირი შედეგია იმ „განკერძოებითის პოლიტიკისა“, რომელსაც ინგლისი მთელის მე-19 საუკუნის განმავლობაში ადგაო, ამბობენ. ინგლისი ევროპას გადაუდგა, ამიტომ იძულებული გახდა იაპონიას დაჰკავშირებოდაო. ამ კავშირმა იაპონელები უფრო გაახარა, ვიდრე ინგლისელები. იაპონიის ჟურნალ-გაზეთობის აზრით ინგლის-იაპონიის კავშირი არა-ჩვეულებრივი მოვლენაა სადიპლომატიო ისტორიაში. ეს კავშირი უძლეველი ძალაა ამ ჟამად, რადგანაც შეერთდნენ უდიდესი საზღვაო სახელმწიფო და პირველი იმპერია შორეულს აღმოსავლეთშიო.

ინგლისისა და იაპონიის გარეთ ყველაზედ მეტის აღტაცებით კავშირს შეერთებულ შტატებისა და ოსმალეთის ჟურნალ-გაზეთობა მიეგება. დიდად გახარებულია განსაკუთრებით ოსმალეთი.

„იაპონიამ, — სწერს „თეჯიმანი ხაკიკატი“, — ჩვენი იმედი გაამართლა, ჯერ ისევ ჩინეთ-იაპონიის ომის დროსვე, როდესაც ამომავალ მზის სახელმწიფოს ევროპის კოალიცია ემუქრებოდა, ვგრძნობდით, რომ ეს ახალგაზრდა სახელმწიფო აღმოსავლეთის დარაჯად გადაიქცეოდა. ერთად-ერთმა ინგლისმა გაუწოდა მაშინ ხელი იაპონიას. ჩინეთის უკანასკნელმა არეულობამ უფრო აშკარაჰყო იაპონიისათვის ინგლისთან კავშირი. საჭირო შეიქმნა საზოგადო მტრის—რუსეთის ალაგმვა, რომელმაც ესე გაიწია აღმოსავლეთისაკენ. მარკიზი იტო თუმცა პეტერბურგში იყო, მაგრამ უთუოდ სულაც არ იყო მოწადინებული კავშირის დადებას იმ სახელმწიფოსთან, რომელიც მანჯურიას დაესაკუთრა და კორეასაც გადაყლაპვას უქადის. სწორედ მოგახსენოთ, სრულიად არ მოველოდით ნახტომის ასე შეშლას მოსკოვის დიპლომატიისაგან, რომლის ტრადიციაც ყოველთვის ერთი და იგივე ყოფილა—მაგრა მოეხვიოს მტერს, რომ გვერდები უფრო კარგად ჩაუმტვრიოს. მაგრამ მარკოზ იტოო მოხერხებული მებრძოლი აღმოჩნდა. დროით მოასწრო მარკიზმა მტრის ხელიდგან გამოსხლეტა და მახვილის მომარჯვება. ჩინეთში გამარჯვებამ იმდენად თავ-ბრუ დაჰხვია მოსკოვს, რომ იაპონიის არაფრად ჩაგდებაც-კი განიზრახა“.

უფრო მეტის აღტაცებითა სწერს მეორე ოსმალური გაზეთი — „იკდამი“.

„მადლობა ალაჰს, — ამბობს იგი, — რომ იაპონია მახეში არ გაება და თავისს დაუძინებელ მტერს არ „დაუკავშირდა“. დეე, ეხლა მოეწყოს ეს მტერი იაპონიის მეზობლად. დადგება დრო, როდესაც მოსკოვი დარწმუნდება, რომ შორეულ აღმოსავლეთში იმის შენობანი ქვიშაზეა აგებული. რუსეთი ვერ გაჰბედავს, რასაკვირველია, იმ საზღვარს გასცდეს, რომელსაც აქამდე მიაღწია; საზოგადო ომის დროს იაპონია დაანახვებს თავისს თავს. ინგლის-იაპონიის დაახლოვება დიდ სარგებლობას მოუტანს ოსმალეთის იმპერიას, რადგანაც იგი კავშირი იმავე მტრის წინაამდეგაა მიმართული, რომლისაგან განსაცდელი ჩვენც მოგველის“.

მესამე გაზეთი — „ტარიკი“ სწერს: „ინგლისმა ხელი გაუწოდა იაპონიას და ამით საჯაროდ წინ გაუძღვა აზიის სახელმწიფოებს, რომელთაც ერთი საზოგადო მტერი ჰყავთ... აზიის სახელმწიფოებს რომ ერთ-ერთის ბატონობა მოელოდეთ, ბევრად უმჯობესია, რასაკვირველია, ინგლისის უღელ-ქვეშ ყოფნა, ვიდრე მოსკოვისა“.

„დიდად შესცდება ის, — ამბობს მეოთხე გაზეთი „საბახი“, — ვინც გაიფიქრებს, რომ ინგლის-იაპონიის კავშირი გერმანიის დიპლომატიას გააბათილებსო... რა ძლიერი მეტოქობაც უნდა ჰქონდეთ საეკონომიო ნიადაგზედ გერმანიასა და ინგლისს, მათი პოლიტიკური და სულიერი ინტერესი საერთო და განუყოფელია. ორივე ამ მონათესავე და კულტურულ სახელმწიფოს ერთნაირ განსაცდელს უქადის უზომოდ გაძლიერებული სლავიანთა სახელმწიფო, რომელიც უმთავრესად ფიზიკურ და მოუხეშავ ძალაზეა დამყარებული“.

საფრანგეთი. 25 იანვარს დეპუტატთა პალატამ ორი საყურადღებო საგანი გადასწყვიტა: პირველი—მიანდო მთავრობას შეემზადოს ორის დიდის რკინის გზის გამოსასყიდად და მეორე—შეიწყნარა კანონ-პროექტი მღვიმე-მაღაროებში რვა საათის მუშაობის შემოღების შესახებ. რკინის გზების გამოსყიდვას ჯერ ისევ გამბეტა სცდილობდა. გამბეტას შემდეგ ამასვე იყვნენ მოწადინებულნი რადიკალები. მაგრამ გაბატონებული ოპორტუნისტები რადიკალების ღაღადისს ყურადღებას არ აქცევდნენ იმ მიზეზით, რომ დღევანდელი წყობილება სარკინისგზო მეურნეობისა იმ საფუძველთაგანია, რომელზედაც პლუტოკრატთა ბატონობაა დამყარებული. საფრანგეთის რკინის გზები 15 მილიარდ ფრანკადაა დაფასებული. ეს ამოდენა სიმდიდრე უმთავრესად იმ აქციონერთა ხელშია, რომელთაც რკინის გზების გაყვანას მხოლოდ $1^1/_2$ მილიარდი ფრანკი დაახარჯეს, ე. ი. მთელის ღირებულობის ერთი მეათედი. ესევე აქციონერნი სარგებლობენ იმ $4^1/_2$ მილიარდ ფრანკის შემოსავლით, რომელიც სახელმწიფომ და თემებმა მოახმარეს რკინისგზებს. აი, ამ მდიდარ აქციონერთა შემწე-მფარველნი იყვნენ ოპორტუნისტნი. საზოგადოდ ამ ვაჟბატონთა პროგრამის დედა-აზრს მდიდარ აქციონერთა, მიწათ-მომქმედთა და მრეწველთა მფარველობა შეადგენდა. მაგალითად, 1885—1900 წლებში, როდესაც ოპორტუნისტნი ბატონობდნენ, შაქრის მრეწველობის „წაქეზებას“ სახელმწიფომ 1,200 მილიონი ფრანკი მოანდომა. ასევე ექცეოდნენ ოპორტუნისტნი რკინის გზების საზოგადოებათა აქციონერთ. რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ისინი წინაამდეგნი ყოფილიყვნენ რკინის გზების გამოსყიდვისა. მაგრამ ვალდეკ-რუსსოს სამინისტრო ამაშიაც შეებრძოლა რეაქციონერთ. პალატის დადგენილება რკინის გზების გამოსყიდვის შესახებ ბრძოლის დაწყობაა პლუტოკრატთა დასამხობად.

არა ნაკლებ საყურადღებოა პალატის მიერ შეწყნარებული კანონ-პროექტი მღვიმე-მაღაროებში სამუშაო დროს შემცირების შესახებ. მართალია, შემცირება თან-და-თანობით მოხდება ოთხის წლის განმავლობაში, მაგრამ საგულისხმოა თვით ამ კანონის მიღება. ეჭვი არ არის, ახალი კანონი დიდ შეღავათს მიანიჭებს მუშებს. დღეს მაღაროებში მუშები $9^1/_2$—$10^1/_2$ საათს ატარებენ, ამ კანონის შემდეგ-კი $8^1/_2$ საათი უნდა გაატარონ. უმთავრესი ის არის, რომ ახალი კანონი არა-ჩვეულებრივი მოვლენაა საფრანგეთის კანონმდებლობაში. დღემდე ეს კანონმდებლობა მფარველობის ღირსად მხოლოდ ქალთა და ბავშვთა შრომასა სცნობდა. იგი არ ერეოდა მოზრდილ მუშათა საქმეში. ამიერიდგან-კი კანონმდებლობა მოზრდილ მუშათა შრომის განწესრიგებასაც შეუდგა. საყურადღებო ის არის, რომ ამ კანონს 5—6 წლის წინად წინაამდეგობას უწევდნენ რიბოც, მელინიც და მემარცხენე ცენტრის სხვა ორატორნიც, დღეს-კი იმის წინაამდეგ მხოლოდ ლიონელმა ბანკირმა ეინარმა გამოილაშქრა. მაგრამ მუშათა დასის დეპუტატების—ბასილისა, ლამანდენისა და ბუვრის (სამივენი მღვიმე-მაღაროს მუშებად ნამყოფნი არიან) სიტყვებმა სრულიად გააქარწყლეს ზემოხსენებულ ბანკირის ნალაპარაკევი. ამ მუშებმა და იმათთან ერთად საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა ბოდენმა და პროექტის მომხსენებელმა დუბიეფმა ისეთი სურათი დაუხატეს პარლამენტს მაღაროს მუშათა შრომის პირობისა, რომ მოწინაამდეგენიც მიემხრნენ პროექტის დამცველთ. რაღა ლაპარაკი უნდა, ყველაზედ სიამოვნებით მუშაობის შემცირების პროექტი დემოკრატიულმა დასმა მიიღო, რადგანაც მუშათა ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება მას უმთავრეს პირობად მიაჩნია საფრანგეთის განსავითარებლად და რესპუბლიკის გასამტკიცებლად. კლერიკალთა და ნაციონალისტთა იარაღს, — ამბობენ ისინი, — გლეხთა და მუშათა უმეცრება შეადგენს. მუშათა უმეცრება მაშინ გაჰქრება, როდესაც მისი მოთხოვნილებანი რამდენადმე დაკმაყოფილებული იქმნება და როდესაც მათ ცოტაოდენი თავისუფალი დრო ექმნებათ გონების გასაწვრთნელად და გასავითარებლადაო.

ავსტრ-უნგრეთი. მუშათა დეპუტატმა ელლენბოგენმა მეტად ცხარე სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში, როდესაც ლაპარაკი ტრიესტის არეულობაზედ ჩამოვარდა. დეპუტატმა საშინლად გაჰკიცხა მთავრობა უდანაშაულო ხალხის ამოჟლეტისათვის. დეპუტატების სურვილით პალატამ კომისია დანიშნა ტრიესტის საქმის გამოსაკვლევად. კომისიამ თავისი მოხსენება რვა დღის შემდეგ უნდა წარუდგინოს პალატას.

ტიროლელმა იტალიელებმა სამძიმარი გამოუცხადეს ტრიესტს არეულობის დროს მუშათა დახოცვის გამო. ქალაქი ტრიენტი, როდესაც უბედურების ამბავი შეიტყო, ტრიესტივით შავის დროშებით შეიმოსა; ტრიენტის თავმა ტრიესტის საბჭოს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა. თვით ტრიესტში სამგლოვიარო პროცესია გაიმართა, რომელშიაც თითქმის მთელმა ქალაქმა მიიღო მონაწილეობა. სიტყვები ქალაქის საბჭოს წევრებმაც წარმოსთქვეს.

ბელგია. ამ ბოლოს დროს ძალიან ბევრს ქალაქში გაიმართა მიტინგები საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო უფლების სასარგებლოდ. შარლრუაში მიტინგზედ 15 ათასი კაცი შეიკრიბა. ამ მიტინგს სოციალისტთა ყველა დეპუტატნი დაესწრნენ. პოლიციამ ბრძანება მიიღო ხელი არ შეუშალოს მიტინგს; ამიტომ მიტინგმა უინციდენტოდ ჩაიარა. შეკრებილთ მეფე ლეოპოლდს დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიაც სთხოვენ ხალხის სურვილის აღსრულებას.

ესპანია. როგორც მადრიდიდგან იუწყებიან, გაფიცულთა რიცხვი ბარსელონაში 80,000 კაცამდე ავიდა. შეთქმულთ მეზობლად მდებარე საქარხნო სოფლებიც მიემხრნენ. მთავრობა ყველა მხრიდგან ჯარსა ჰგზავნის ბარსელონისაკენ. ქალაქში დახურულია დუქნები, რესტორანები, თეატრები. გაზეთები არ გამოდის. ერთმა გაზეთმა განიზრახა ნომრის გამოცემა, მაგრამ გაფიცულთ დაიტაცეს სტამბიდგან გაზეთი და დასწვეს. ამბობენ, მოხელეებმა ქარხნების პატრონნი მიიწვიეს მოსალაპარაკებლად; უნდათ დაითანხმონ, რომ დღეში ცხრა საათის მუშაობა იქმნეს დაწესებული.

წერილი რედაქციის მიმართ.

შეუწყნარებელი უმადურობა.

ქართული ანდაზა ამბობს: „ისეთმა ფურმა უნდა დამწიხლოს, ჩემზედ მეტი მოეწველოს, ან ეხლა იწველიდესო“. ამ ანდაზის აზრი რომ შეგნებული გვქონდეს, მაშინ, რასაკვირველია, სულ სხვა ნაირად მოვიქცეოდით ხოლმე ჩვენს საზოგადო მოღვაწეობაში და ერთი სტაქანი რძის მომწველი და მომცემი ასი კასრის მომწველს და მომცემს აბუჩად ვერ აიგდებდა და წიხლების სროლას ვერ შეჰკადრებდა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ანდაზა შესმენილი არა გვაქვს; მასში გამოთქმულის საგულისხმიერო აზრით არ ვხელმძღვანელობთ ჩვენს მოქმედებაში და ამის გამო, რასაკვირველია, ისე აგვერია ჩვენი საერთო მოღვაწეობის ტიბიკონი, რომ პარნასის ემბაზში მონათლულთ, რომელთაც დანათლიავებული აქვსთ ზეგარდმო მადლით აღსავსე აზრი და ნიჭი, ჭკუა და გონება, პარნასისავე საკურთხეველში კურთხეულ მოღვაწეთა მამათ-მთავრების გროშათ აღარ ვაფასებთ ხოლმე... დიახ, ოცი-ორმოცი წლის საზოგადო ასპარეზზე გამოსულს თავდადებულს მოღვაწეს, რომელთა ნაღვაწის დიადი მნიშვნელობა და სარგებლობა ჩვენი საერთო საქმეებისადმი ყოველის მხრით დანახული და აღიარებულია, თავიანთ ნაშრომ-ნაღვაწით ფეხით ქელავენ, მიწასთან ასწორებენ, ჰკიცხვენ, სასაცილოდ იგდებენ ახლად სამოღვაწო ასპარეზზე ფეხ-ადგმულნი, მოღვაწის დიპლომით თავმოწონებულნი... ეს რომ ასეა ჩვენში, ამის დამამტკიცებელი მაგალითები მრავალია ჩვენის გამოჩენილ მოღვაწეების უთვისმდგომარეობის ისტორიაში, მაგრამ ძველი მაგალითების აღნიშვნა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია, რადგანაც ახლად გამოჩეკილი საყურადღებო მაგალითიც საკმაოდ ასაბუთებს ჩვენის შენიშვნის სრულს ჭეშმარიტებას. ამ უკანასკნელს ხანებში, როგორც უკვე მოგეხსენებათ, ერთი ჩვენი სახელოვანი მოღვაწე, რომელსაც დიდი დამსახურება და ნაყოფიერი ღვაწლი მიუძღვის ყოველ გვარ ჩვენს საზოგადო საქმეებში და კერძოდ ჩვენის ეროვნულის მწერლობის წინაშე, კარრიკატურის სვეტზე გააკრეს! თხუნჯობის მასალად გახადეს!!! ხოლო მისის მადლით მოსილის ნიჭისა და გონების ნაწარმოები ჩაყარეს დამტვრეულ ურემში, შეუბეს გედი, თევზი და კიბო; პირველი ცისაკენ ეზიდება, მეორე ზღვისაკენ, ხოლო მესამესი-კი რა მოგახსენოთ, ეშმაკმა თუ იცის, რომელი ჯურღმულისაკენ... მშვენიერი და გონივრული იუმორია რაღა... ეს ფაქტი მგონია ნამდვილ სურათს გვიჩვენებს იმისას, თუ რამდენად გვესმის ჩვენ პატივისცემა საერთო მოღვაწისა და რამდენად ვაფასებთ მათ შრომას და ნაჭირნახულევს. როდესაც „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „განდეგილის“ და სხვათა მრავალთა ჩვენის ლიტერატურის დამამშვენებელ და გამამდიდრებელ გონების ნაწარმოებთა ავტორს კარრიკატურის ჯვარზე ვხედავთ მიკრულს, ჭმუნვით იმოსება მხილველის სული და გული ჩვენი უაზრო უმადურობით საერთო მოღვაწისადმი, და თვალ-წინ უყენებს პილატეს სამსჯავროს და მის უსამართლო და შურის-ძიებით აღსავსე განაჩენს. ჩვენ, რასაკვირველია, ამით იმ მიმართულების დამყარებას არ [illegible] ჩვენს მწერლობაში, რომ ახალი მოღვაწე, თუ-კი ის რომელიმე მხრით ღირსია ამ სახელის ტარებისა, ძველს მოღვაწეებს არ [illegible] ნაღვაწის ღირსებას და ნაკლულოვანობას არ გაარჩიოს, არ დააფასოს, არა, ეს აუცილებელი საჭიროც არის ყოველის მოღვაწის ნაღვაწ-ნაშრომის ღირსეულად დაფასებისათვის. ჩვენ მხოლოდ ის მიგვაჩნია საჭიროდ, ჩვენს მწერლობაში ყოველი დარგის საზოგადო მოღვაწე პირად ანგარიშებს აშორებულის, გულ-წრფელის დარბაისლურის კრიტიკით იქმნეს გასამართლებული, სწორის სამართლიანის სასწორით აწონილი და ღირებულობისამებრ დაფასებული მოღვაწის მიერ საერთო სადაროში შეტანილი წვლილი და არა უმართებულო მასხარაობით და თხუნჯობით. დიახ, სამწუხაროა თუ მოღვაწის ნაჭირნახულევის აწონ-გაზომვის და დაფასების უნარი არ შეგვწევს, თუ მოღვაწის თავის დამსახურების შესაფერად პატივის ცემა და დაჯილდოება არ შეგვიძლიან, ის მაინც როგორმე შევძლოთ, რომ ასე უმადურად და უკადრისად არ ვექცეოდეთ საპატიო მოღვაწეებს...

ქაიხოსრო გედევანი.

სადურია?..

ჩვენ მივიღეთ „კვალის“ რედაქციის ბლანკზე დაწერილი წიგნი, რომელიც მოგვყავს აქ შეუცვლელად, სალიტერატურო მიწერ-მოწერის ნიმუშად.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის დღევანდელ №-ში („ივ.“ № 35) მოთავსებულია ბ. Plebs-ის წერილი „კვალის“ მოსაუბრის პასუხად. საკამათო საგნის არსებითად შეხება მეტად მიმაჩნია, მას თვით მოპირდაპირენი გამოარკვევენ, ალბათ, მაგრამ როგორც „კვალის“ ახლობელი თანამშრომელი, მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს ვაუწყო ბ-ნ Plebs-ს, რომ მისი წერილის პირველი ნაწილი და მისი რიხიანი „გამარჯვება“ ჩვენ მოსაუბრეზე დამყარებულია სამწუხარო კორექტურულ შეცდომაზე, მისგან არც ერთი რედაქცია არ არის უზრუნველ-ყოფილი და მათში არც ჩვენი. ასეთ შემთხვევაში რედაქციას შეუძლია მხოლოთ შემდეგ №-ში გაასწოროს შეცდომა, მაგრამ რადგან ჩვენი გაზეთი კვირაში მხოლოთ ერთხელ გამოდის, ამიტომ კვირის შეცდომის ორშაბათს გასწორება ყოვლად შეუძლებელი იყო. ბ. მოსაუბრის ხელთნაწერში კი, რომელსაც აქვე წარმოგიდგენთ, ბ. Plebs-ის სიტყვები სწორედ ისეა მოყვანილი, როგორც თვით Plebs-ი აღნიშნავს, ე. ი. „მეოთხე საუკუნიდან დაწყებული“ და არა „მეორე“ და სხ. მე მგონია ეს ადგილი გასაგები იყო თვით Plebs-ისთვის, რადგან წარმოუდგენელია, არა თუ მოსაუბრემ, თვით Plebs-ის რომელიმე თანამოკალმემ არ იცოდეს, რომელ საუკუნეში მიიღეს ქართველებმა ქრისტიანობა. ეს ერთი. მეორე მისაღები იყო მხედველობაში ისიც, რომ ეს საუკუნის აღნიშვნა არაფერს არ მატებს საკამათო საგანს. აქ სადაო და საკამათო თვით „საეკლესიო ფაქტორია“ და ის, მბრძანებლობდა და შეეძლო ასეთი მბრძანებლობა ამ ფაქტორს თუ არა და არა ის, თუ რომელ საუკუნიდან. ამიტომ მოსაუბრისთვის არავითარი ანგარიში არ იყო ბ. Plebs-ის სიტყვების გადამახინჯება, რასაც საზოგადოთ არ არიან ჩვეულნი კვალის თანამშრომლები. ყოველ შემთხვევაში კორექტურულ შეცდომებისათვის პასუხის მგებლობისაგან ყოველი ავტორი თავისუფალი უნდა იყოს და არც შეფერის რიგიან მოკამათეს მათი ხელის ჩაჭიდება.

უეჭველია ეს ადგილი მისახვედრი იყო, მაგრამ ბ-მა Plebs-მა მაინც ასეთი წარმავალი „გამარჯვება“ ირჩია და ღმერთმან ხელი მოუმართოს. ვიტყვი მხოლოთ, რომ კორექტურულ შეცდომებზე დამყარებული „მეცნიერი“ შორს ვერ წავა და ვერც რეაქციას გაამაგრებს და ვერც პროგრესს გაუკაფავს გზას...

თქვენი პატივისმცემელი **ნ. ელიავა.**

„შეცდომის“ შესახებ ბ-ნი Plebs-ი, უეჭველია, თითონ გასცემს პასუხს, ვისაც ჯერ არს; ჩვენის მხრივ-კი არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ უცნაური კილო ზემო მოყვანილის წიგნისა. ბ-ნს ნ. ელიავას იმდენად საჭიროდ მიაჩნია იმის გამოცხადება, რომ ბ-ნის მესაუბრის შეცდომა მხოლოდ კორექტურული შეცდომაა. რომ ერთი კვირაც ვერ მოუთმენია, რომ ეს ამბავი თავისსავე „კვალში“ გამოეცხადებინა და ამისათვის ჰსურს ჩვენი ყოველდღიური გაზეთი გამოიყენოს, რასაკვირველია, ჩვენის რედაქციის თავაზიანობის იმედით. ხოლო ამ თავაზიანობის სამაგიეროდ ბ-ნი ნ. ელიავა უკადრისად ამკობს ჩვენსავე თანამშრომელს Pleds-საც და მისს „თანამოკალმეებსაც“, თუმცა ასეთი შემკობა „კვალშიაც“ შეეძლო ერთის კვირის შემდეგ.

დეპეშა

12 თებერვალი.

პეტერბურგი. თებერვლის 11-ს დილ[illegible] მთავარს მიხეილ ნიკოლოზის[illegible]

ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტაცია. წინამძღოლისაგან წაკითხულს ადრესზე დიდმა მთავარმა მიუგო: „გმადლობთ იმ პატივისცემისათვის, რომელიც მომაგეთ მაგ ადრესით. მე არასოდეს არ ვარჩევდი და არც ახლა ვარჩევ ქუთაისის თავად-აზნაურობას ტფილისის თავად-აზნაურობისაგან; მათი ინტერესები ერთნაირად ძვირფასად მიაჩნია ჩემს გულს. ამიტომაც არაფერი არ მაქვს დასამატებელი იმაზე, რაც ვუთხარ ტფილისის თავად-აზნაურობას“.

დიდის მთავრის სიტყვების შემდეგ დეპუტაცია წარუდგა დიდს მთავრინებს მარიამ გიორგის ასულს და ქსენია ალექსანდრეს ასულს და დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის უავგუსტოესს შვილებს. წარდგენის შემდეგ საუზმე მოართვეს. საუზმეზე მისმა უმაღლესობამ ასწია ფიალა და სთქვა: „ვსვამ სადღეგრძელოს ქუთაისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობისას, ესე იგი იმერლების, გურულების და მეგრელებისას და ვისურვებ აღყვავებას ამ თავად-აზნაურობისას, რომელიც მუდამ სულითა და გულით ემსახურებოდა მეფესა და მამულსა“. ოფიცერთა საკრებულოს დარბაზში სადილი იყო გამართული სევასტოპოლის დაცვის მონაწილეთათვის. სადილს დაესწრო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. თებერვლის 12 ბუხარის ემირი მემკვიდრისა და ამალის თანხლებით სადარბაზოდ იყო მინისტრებთან, გრადონაჩალნიკთან, გუბერნატორთან და კომენდანტთან. ხელმწიფე იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა ანიჩკის სასახლეში ხელმწიფე მემკვიდრის თანადასწრებით მიიღო ბუხარის ემირი და მისი მემკვიდრე ამალითურთ. თორმეტის ნახევარზე, საცეკვაო დარბაზში დაათვალიერეს ემირისაგან მორთმეული ძვირფასი საჩუქრები. იმპერატრიცამ ფანჯრიდგან გადაჰხედა ემირისაგან მორთმეულ ცხენებს.

კიევს უმაღლესად ნება დაჰრთეს 2.500,000 მან. საობლიგაციო სესხის აღებისა.

ჰელსინგფორსი. უმაღლესად ნება-დართულ იქმნა დახარჯულ იქმნას ფინლანდიის სახელმწიფო თანხიდგან: 630,000 მარკა ჰელსინგფორსის პოლიტეხნიკუმის შენობის გასაფართოვებლად, 200,000 სიპპოლის მამულის ერთის ნაწილის საყიდლად და შემდეგ დორპართათვის მისაყიდლად ნაჰრობით და 280,000-კი სესხად უნდა მიეცეს ფინნების თეატრის აქციონერთა საზოგადოებას.

ვაშინგტონი. პრინცმა ჰენრიხმა და პრეზიდენტმა რუზველტმა ერთმანეთს გადაუხადეს ვიზიტი. პრინცი დაესწრო სენატის სხდომას, სადაც ტაშით მიეგებნენ.

გუშინწინდელს ბანკეტზე, რომელიც პრინცის ჰენრიხის პატივსაცემლად იყო გამართული, რუზველტმა დალია იმპერატორის ვილჰელმისა და გერმანიის ერის სადღეგრძელო და დასძინა: „ჩვენ გაოცებულნი ვართ გერმანიის დიდებულის წარსულისა დ ეხლანდელის დიდებისაგან და გსურს მისი ყოველგვარად წარმატება მომავალშიაც. თანდათან-ცა გამტკიცებულ იქმნას მეგობრობის კავშირი გერმანიისა დ ჩრდილო-ამერიკის ერთა შორის. პრინცმა სამაგიეროდ დალია პრეზიდენტისა და შეერთებულ შტატების ერის სადღეგრძელოები და სთქვა, რომ იმედი აქვს ამ ორ ერის შუა მეგობრულის განწყობილების სიმტკიცისა. შემდეგ რუზველტმა დალია პრინცის სადღეგრძელო და სთქვა: „ამერიკის ხალხის სახელით მხურვალედ გეგებებით თქვენ და გარწმუნებთ რომ ჩვენი გულითადი სიმპატია თქვენკენ არის.“ შუა-ღამისას პრინცი ნიუ-იორკში დაბრუნდა.

მოსკოვი. ოლქის სასამართლოში ირჩეოდა საქმე სავვა მამონტოვის შეუძლებელ მოვალეობის შესახებ. საერთაშორისო ბანკისა და ტრეტიაკოვის ვექილებმა განაცხადეს, რომ ისინი მოურიგდნენ მამონტოვს და სპობენ საჩივარს (ორი მილიონისას). მამონტოვის ვექილმა ითხოვა მოესპოთ საქმე შეუძლებლობაზედ. სასამართლომ შეიწყნარა ეს თხოვნა.

13 თებერვალი.

პეტერბურგი. დაინიშნა მინისტრთა კომიტეტის განყოფილების უფროსის უფროსი თანაშემწე ბერუზნიკოვი ჩერნომორის ვიცე-გუბერნატორად. გაუწერელ გადასახადთა და სასმელთა სახაზინოდ გაყიდვის მთავარ-სამმართველო აცხადებს: „ფინანსთა მინისტრმა მიწად-მოქმედების მინისტრთან შეთანხმებით შესაძლოდ დაინახა ნება დართულ იქმნას სპარსეთში სერაზის დამოენით ნავთის გატანა აქციზის გადაუხდევინებლად საზოგადო წესების თანახმად და იმ პირობით, რომ გასატანი ნავთი შეამოწმონ დამოენაში საქციზო უწყების მოხელეთა თანადასწრებით. სახალხო განათლების სამინისტრომ გამოაცხადა რა პირობებით ეძლევათ ნება საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლებს აძლიონ სასყიდლათ კერძო გაკვეთილები მოწაფეებს იმ სასწავლებლებისას, სადაც თვითონ არიან მასწავლებლებად. გამოცხადდა აგრეთვე ის პირობები, რომელთა მიხედვით ქალები უნდა მიიღონ მუსიკის მასწავლებლებად საშუალო სასწავლებელთა უმცროსს კლასსებში, როცა არ არის სათანადოდ მომზადებული მასწავლებელი კაცი.

უფა. საჭმლის ნაკლებულობამ გამოიწვია ხურვებითა და სურავანდით დაავადმყოფების რამდენიმე შემთხვევანი.

მოსკოვი. მეღვინეთა და მევენახეთა კრებაზე საჩივარი წარმოითქვა. რომ სასმელების გაყიდვის ახალი წესი ავიწროებს მეღვინეობასაო. ხალხს რომ ვერ გაუსაღებია ღვინო, თვითონვე სვამს გადაჭარბებით. საეკლესიო ღვინის შესახებ დიდი ბაასია ცალკე სექციაში; გამოირკვა, რომ ასეთს ღვინოს ერთობ უგვანად და სიყალბით ამზადებენ მოსკოვში, რიგასა და ოდესაში ფინანსთა მინისტრის წარმომადგენელმა წინადადება შემოიტანა, რომ საეკლესიო ღვინის დამზადება გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს, ან სინოდს და ან საუფლისწულო უწყებას. ამ უწყების წარმომადგენელმა ურჩია კრებას, შედგენილ იქმნას საეკლესიო ღვინის დასაყენებლად მეღვინეთა სინდიკატი, რომელმაც უნდა იქონიოს მარანი რუსეთის რამდენსამე ალაგას, იმ პირობით რომ სასულიერო უწყების წარმომადგენელს თვალყური ეჭიროს წარმოებაზე. სექციამ გადასწყვიტა, რომ საეკლესიო ღვინოს არაფერი არ უნდა გაურიონ, წმიდა უნდა იყოს.

ნიუ-იორკი. მლისა რუზველტმა ნათლიაობა გასწია იახტის „ფაიზერ ვილჰელმის“ ზღვაში ჩაშვებისას.

პეტერბურგი. ბაქოში, დონის-როსტოვში, ნოვგოროდში, სვენციანში და ბალტიის გუბერნიის უმთავრესს ქალაქებში ემზადებიან გოგოლის ხსოვნის პატივის-საცემლად.

ბაქო. ცეცხლი გაუჩნდათ თუმაევის გ. თუმაევის და კასპიის ამხანაგობის ნავთის მადნებში. პირველ მადანში დაიწვა ნავთის ჭები, მეორეში — კოშკები და რეზურვუარი 50.000 ფუთი ნავთით, მესამეში—ოთხი კოშკი. დაშავდა ათი კაცი. ერთი მოკვდა, ერთიც სიკვდილის პირზეა.

შეთანხმდნენ კეროსინის საერთო ღონისძიებით გასაღებაზე უპირატესად რუსეთის ბაზრებში შემდეგი საზოგადოებანი: ოლეუმი, ბაქოს საზოგადოება რუსულ ნავთისა, ტოკამპი და „კავკაზი“. წლიურად ეს საზოგადოებანი აყენებენ: 20 მილიონ ფუთს კეროსინს, 40 მილიონ ფუთს მაზუტს და სხვა და 3 მილიონ ფუთს სხვა ჯურის ზეთეულობისას.

პეტერბურგის ბირჟა, 8 თებერვალი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში მარკაში 100	$46,07^1/_2$
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	$46,27^1/_2$
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი.	$5—6^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2\%$ შინაგანი სესხი 1893 წ.	$99^7/_8$
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა.	$94^1/_2$ გაყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$466^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	379 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	$302^1/_2$ გაყიდ.
$4^1/_2\%$ გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	
$4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$85^1/_8$ წვ. გაყ.
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^1/_2\%$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები	
„ კასპიის ამხანაგობისა	4, 350 წვ. გაყ
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა ი. მანთაშევისა დ ამხ.	168 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (*1 ს. 21 წ.*).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს.) 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღეეის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდების 18. (წლ.)

ტყის უფროსის თანაშემწე

(Пом. Лѣснич.) რომელსაც, სპეციალურ ცოდნის გარდა, აქვს 12 წლის პრაქტიკა ტყეებისა და მამულების მოვლა-გამგეობისა და აგრეთვე მისი მეუღლე, გიმნაზია-დამთავრებული მასწავლებელი ქალი, ეძებენ შესაფერს ადგილს კერძო მემამულეებთან ადგილობრივ ან პროვინციაში. ადრესი ,,ივერიის‘‘ რედაქცია. (3—288—3).



Т-во Высшей арфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

Золотая нива

РАЛЛЕ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვისა	5 „
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბენია	10 „
ბუნების სოფლარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნების სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
გასართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „
გუსტავ ვაზა	5 „
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60 „
გიორგი და მიხეილი	10 „
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ	20 „
დედა, ანდერსენისა	8 „
დამონებული, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. „
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 „
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	10 „
Давидъ Гареджели, Е. К.	15 „
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 „
ელენე, მოთხრობა	5 „
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 „
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К.	30 „
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 „
თამარ-დედოფლის სამკაული	10 „
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 „
ისტორია ქართულ სტამბის	15 „
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა	40 „
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II არ. ქუთათელაძისა	60 „
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 „
კანდელი, მ. ღელაშვილისა	„ 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 50
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	„ 30
კუბიკები ქართულის ანბანისა	1 20
ლექსები განდეგილისა	„ 50
ევდოშვილისა	„ 50
გრ. აბაშიძისა	„ 60
დ. გაბრუაშვილისა	„ 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა.	„ 40
მუშათა კითხვა	„ 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ელიზბაშვილისა	1 „
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	„ 40
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 „
Мцхетъ и его Соборъ. А. Натроева	1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა	„ 10
ნათელა, აკაკისა	„ 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა	„ 20
ნამდვილი სამსახური პოეტებისა	„ 40
Новая постановка педагогическаго дѣла.	„ 20
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	„ 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	„ 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III. Хахановъ	3 „
პატარა ლორდის თავგადასავალი	„ 30
პატარა ვეფხვის ტყაოსანი	„ 25
რამს გახდევს, თარგ. ალ. ს—შვილისა	„ 40
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	1 „
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა	„ 60
საერო დღესასწაული	„ 25
სამი პოემა, ან. ფურცელაძისა	„ 50
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა.	„ 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა	„ 10
სახუმარო გასართობი	„ 10
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 „
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	„ 30
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა	„ 05
სუმბული, ს. ქვარიანისა.	„ 21
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა	„ 50
უძველესთა დადადებანი, მ. ჯანაშვილისა	„ 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	„ 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	„ 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	„ 40
ქეთო და სოსო, საყმაწვილო მოთხრობა	„ 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	„ 25
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	„ 04
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	„ 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 „
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	„ 20
Царица Тамара, М. Джанашвили	„ 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	„ 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 „
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	„ 50

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

(13—287—1)



ფაბრიკის ნიშანი

გაფრთხილება

თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცისა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

პაპიროსები,

რომლებიც გარეგანი შეხედულობით ძრიელ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იგივე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

ყოველივე შეცდომის ასაცილებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი. რომელიც ნება-დართულია უმაღლესი მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ წარწერას

Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-ми.

(10—282—3)

Дозвол. цензурою. Тифлисъ 13-го Февраля 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ძმ. ხელაძის სტამბა ლორის-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.